

სოფლის მეურნეობის სტატისტიკა

სოფლის მეურნეობის სტატისტიკისათვის ინფორმაციის ძირითად წყაროს სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევა წარმოადგენს. გამოკვლევის ერთი რაუნდი (საანგარიშო წელი) მოიცავს 5 გამოკითხვას: საწყისი გამოკითხვა ტარდება საწყისი კითხვარის გამოყენებით საანგარიშო წლის იანვარ-თებერვალში. ამ გამოკითხვისას ხდება შერჩეული მეურნეობების იდენტიფიკაცია და ფიქსირდება შერჩეულ მეურნეობებში საანგარიშო წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობა; I, II და III კვარტალების გამოკითხვები ტარდება კვარტალური კითხვარის გამოყენებით საანგარიშო წლის შესაბამისი კვარტალის შემდგომი თვის დასაწყისში. ამ გამოკითხვისას გროვდება ინფორმაცია შერჩეულ მეურნეობებში საანგარიშო კვარტალის განმავლობაში გაწეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ; დასკვნითი გამოკითხვა ტარდება დასკვნითი კითხვარის გამოყენებით საანგარიშო წლის მომდევნო წლის იანვარში. ამ გამოკითხვისას გროვდება ინფორმაცია როგორც საანგარიშო წლის IV კვარტალის განმავლობაში გაწეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ, ისე შემაჯამებელი ინფორმაცია მთელი საანგარიშო წლის (გასული წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) განმავლობაში გაწეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

სასოფლომეურნეობათა გამოკვლევის შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა წარმოადგენს. გამოკვლევის ხუთივე გამოკითხვისას გამოიკითხება ერთი და იგივე სასოფლო მეურნეობები (დაახლოებით 12 000 მეურნეობა), რომლებიც ორსაფეხურიანი, სტრატეფიცირებული, კლასტერული, შემთხვევითი შერჩევის გზით შეირჩევიან საქართველოში არსებული დაახლოებით 642 000 სასოფლო მეურნეობიდან. პირველ საფეხურზე ხდება კლასტერების (დასახლებების) შერჩევა, ხოლო მეორე საფეხურზე შერჩეულ კლასტერებში - მეურნეობების შერჩევა. გამოკვლევა მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას, ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის გარდა. ყოველ წელს ხორციელდება ახალი შერჩევის ფორმირება, რომელიც ეფუძნება როტაციულ დიზაინს, კერძოდ წინა წელს შერჩეული 12 000 მეურნეობიდან იცვლება დაახლოებით 4 000 მეურნეობა. შერჩევაში მოხვედრილი მეურნეობები გამოკვლევაში მონაწილეობენ 3 წლის განმავლობაში. ამასთან, მსხვილი სასოფლო მეურნეობები ყოველი წლის შერჩევაში სრულად არიან წარმოდგენილნი.

გამოკვლევის ობიექტია სასოფლო მეურნეობა (ოჯახური მეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები) – დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეული ზომის, საკუთრებისა და სამართლებლივი ფორმის მიუხედავად, რომელშიც სასოფლო-სამეურნეო წარმოება ხორციელდება მეურნის (შინამეურნეობის შემთხვევაში შინამეურნეობის წევრი, ხოლო საწარმოს შემთხვევაში საწარმოს დირექტორი ან უფლებამოსილი პირი) ხელმძღვანელობით, რომელიც პასუხისმგებელია სამეურნეო გადაწყვეტილებებზე და საკუთარ თავზე იღებს მეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებულ ყველა ეკონომიკურ რისკს და დანახარჯს, ამასთან, სარგებლობს სამეურნეო საქმიანობის შედეგებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გამოკვლევის სავსელე სამუშაოებში მონაწილეობს 270-ზე მეტი ინტერვიუერი. ოჯახურ მეურნეობებში მონაცემთა შეგროვება ხორციელდება ინტერვიუერების მიერ პლანშეტური კომპიუტერის გამოყენებით რესპონდენტის პირისპირ გამოკითხვის მეთოდით (CAPI). სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შემთხვევაში, საწარმოს წარმომადგენელი (რესპონდენტი) თავად ავსებს გამოკვლევის ელექტრონულ (ონლაინ) კითხვარებს (CAWI). ინტერვიუერთა სამუშაოების კოორდინაციას და ველზე შეგროვებული მონაცემების პირველად კონტროლს ახორციელებენ კოორდინატორები, რომელთა სამუშაო არეალი მოიცავს რამოდენიმე მუნიციპალიტეტს. კოორდინატორების ფუნქციას აგრეთვე განეკუთნება კვლევასთან დაკავშირებულ მეთოდოლოგიურ და ტექნიკურ საკითხებზე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის კონსულტაციის გაწევა.

სავსელე პერსონალს რეგულარულად უტარდება ცოდნის ასამაღლებელი ტრენინგები, რომლის დროსაც განიხილება გამოკვლევის და კითხვარის შევსების ინსტრუქციები, კითხვარების დახვეწის მიზნით მათში შეტანილი ცვლილებები და კეთდება წლის განმავლობაში დაშვებული შეცდომების ანალიზი.

სავსელე სამუშაოების დასრულების შემდეგ მონაცემთა ერთიანი ბაზის განმენდა და ჰარმონიზაცია წარმოებს საქსტატის ცენტრალურ ოფისში. თავდაპირველად ხორციელდება ლოგიკური და არითმეტიკული შეუსაბამობების, ასევე არატიპური და საეჭვო მონაცემების გამოვლენა, გადამოწმება და გასწორება. შედეგად მიიღება მონაცემთა ბაზა, რომელიც თავისუფალია თითოეული კითხვარის შიგნით შეუსაბამობებისაგან. ამის შემდეგ იწყება მონაცემთა ბაზის, როგორც მთლიანის, განმენდა, რა დროსაც ხდება კონკრეტული გამოკითხვის მონაცემების თავსებადობის შემოწმება სხვა გამოკითხვების მონაცემებთან. შეუსაბამობების და საეჭვო მონაცემების გადამოწმება ხორციელდება რესპონდენტთან ტელეფონით დაკავშირების გზით. იმ შემთხვევაში, თუ გადამოწმება ვერ ხერხდება, გასწორება წარმოებს ლოგიკურად, სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით.

სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მაჩვენებლები გაიანგარიშება განმენდილი მონაცემებისა და მეურნეობების წონების გამოყენებით. მიღებული შედეგების შედარება ხორციელდება წინა პერიოდის შესაბამის შედეგებთან. მნიშვნელოვანი გადახრების არსებობის შემთხვევაში ხდება მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა და ანალიზი.

ზოგიერთი მაჩვენებლის გამოსათვლელად ტარდება სპეციალური კვლევები, კერძოდ:

- ინფორმაცია ცხვრისა და თხის სულადობის, ასევე ბაღჩეულის წარმოების შესახებ მიიღება ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელთა ყოველწლიური გამოკითხვით;
- ინფორმაცია ჩაის ნედლი ფოთლის გადამუშავების შესახებ მიიღება ჩაის ნედლი ფოთლის გადამამუშავებელ საწარმოთა ყოველწლიური გამოკითხვით.

ამასთან, სოფლის მეურნეობის საშუალო მაჩვენებლები გამოითვლება შემდეგნაირად:

- საშუალო მოსავლიანობა - საანგარიშო წლის განმავლობაში წმინდა ნათესებიდან აღებული მოსავლის შეფარდება წმინდა ნათესებიდან აღებულ ფართობთან;

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- საშუალო წველადობა - საანგარიშო წლის განმავლობაში რძის მთლიანი წარმოების შეფარდება წლის განმავლობაში არსებული მენველი ფურების საშუალო რაოდენობასთან;

- საშუალო ნამატი - საანგარიშო წლის განმავლობაში დაბადებულ პირუტყვთა რაოდენობის შეფარდება წლის განმავლობაში არსებულ დედათა საშუალო რაოდენობასთან.

სოფლის მეურნეობის სტატისტიკა საქსტატის ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდრის შესაბამისად:

19 თებერვალი - წინასწარი მაჩვენებლები გასული წლის წლიური და მეოთხე კვარტალის მეცხოველეობის შესახებ;

15 მარტი - ექსპრეს მონაცემები გასული წლის საშემოდგომო კულტურების ნათესი ფართობების შესახებ;

17 აპრილი - წინასწარი მაჩვენებლები გასული წლის მემცენარეობის შესახებ (ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი, აღებული ფართობი, წარმოება და საშუალო მოსავლიანობა. ასევე, მრავალწლოვანი კულტურების წარმოება);

20 მაისი - წინასწარი მაჩვენებლები მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მეცხოველეობის შესახებ;

14 ივნისი - დაზუსტებული მაჩვენებლები გასული წლის სოფლის მეურნეობის შესახებ - სტატისტიკური პუბლიკაცია “საქართველოს სოფლის მეურნეობა”;

19 აგვისტო - წინასწარი მაჩვენებლები მიმდინარე წლის მეორე კვარტალის მეცხოველეობის შესახებ;

29 აგვისტო - ექსპრეს მონაცემები მიმდინარე წლის საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობების შესახებ;

19 ნოემბერი - წინასწარი მაჩვენებლები მიმდინარე წლის მესამე კვარტალის მეცხოველეობის შესახებ.

წინასწარი მაჩვენებლები ქვეყნდება ქვეყნის დონეზე, ხოლო საბოლოო მაჩვენებლები რეგიონების დონეზე. შერჩევის ზომა არ იძლევა საშუალებას, ყველა რეგიონისათვის იქნეს მიღებული საიმედო მაჩვენებლები, ამიტომ აღნიშნული რეგიონების მაჩვენებლები ქვეყნდება აგრეგირებული სახით, დასახელებით “დანარჩენი რეგიონები”.

შენიშვნა: დეტალური მეთოდოლოგია იხილეთ შემდეგ ბმულზე

საკონტაქტო პირი:

ვასილ ნაქაძე, ტელ: (+995 32) 236 72 10 (500). E-mail : vtsakadze@geostat.ge